რელიგიური პლურალიზმი, ექსტრემიზმი და დემოკრატია:

მონიტორინგი და დებატები

მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

Caucasus Institute for Peace, Democracy and Development

თბილისი წერეთლის გამზირი # 72
ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77 37 ელ-ფოსტა : info@cipdd.org

აპრილი-ივნისი 2017 წ.

Newsletter N. 3

პანკისი

სალაფიტური მეჩეთის იმამი ბექხან ფარეულიძე სოფელ ჯოყოლოში ქრისტიანული ნიშის დაზიანების შესახებ

29.04.2017

22 აპრილს გავრცელებული ინფორმაციით სოფელ ჯოყოლოში მშენებარე ეკლესია დაანგრიეს. უფრო დაზუსტებული ინფორმაციით, ეს იყო წმინდა გიორგის სახელობის პატარა ნიში, რომელსაც არ ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. გამოძიება დაიწყო 187-ე მუხლით რომელიც გულისხმობს ნივთის დაზიანებას ან განადგურებას. 28 აპრილს კი ახმეტაში გაიმართა საპროტესტო აქცია, სადაც მომხდარი ამბავი 500-მდე ადამიანმა გააპროტესტა. ამ ფაქტს სოციალური ქსელის მეშვეობით ეხმაურება სალაფიტური მეჩეთის იმამი ბექხან ფარეულიძე: “ჩვენი რელიგია კრძალავს სხვა რელიგიური საკულტო ნაგებობების დანგრევას და, შესაბამისად, როგორც მუსლიმები, ჩვენ არანაირად არ მოვიწონებთ რელიგიური სიწმინდეების შეურაცხყოფას. დღეს ახმეტაში გაიმართა აქცია, სადაც შეურაცხყოფას აყენებდნენ პანკისელებს, მოვითხოვ, ყველა პროვოკატორმა თავი დაანებოს მთელი

ხალხისთვის შეურაცხყოფის მიყენებას, დაეველოდოთ გამოძიებას, წინასწარ ნუ დაგვადანაშაულებენ იმაში, რასაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდენდით.

ზოგიერთმა პანკისში მომუშავე მედიასაშუალებამ, გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებით ხალხი შეცდომაში შეიყვანა, თითქოს პანკისის ხეობაში ეკლესია დაანგრიეს, ამან კი თავისი შედეგი გამოიღო და მორწმუნე ქრისტიანების უფრო მეტი აღელვება გამოიწვია. მინდა ვთხოვო ყველა მედიასაშუალებას, ობიექტური და დაზუსტებული ინფორმაცია მიაწოდოთ ხალხს, რომ არ მოხდეს ხალხთა შორის ურთიერთობების გამწვავება, ეს მხოლოდ ამ პროვოკაციის მომწყობებს აწყობთ. ვფიქრობთ, რომ ეს არის პროვოკაციული ქმედება და ამის მოთავეს ქვეყნისთვის არაფერი კარგი არ უნდა და ჩვენს შორის დაძაბულობის გაჩენა სურს."
http://www.radioway.ge/ka/news/people/item/455-pankisis-salapituri-temis-imami-islami-krwalavs-sakulto-nagebobebis-dangrevas
http://netgazeti.ge/news/190287/

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა

განცხადებები მეჩეთის მშენებლობაზე

12.04.2017

2016 წლის ივნისში „ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი" დაარსდა. მუსლიმებმა მიწის ნაკვეთი ქალაქ ბათუმში შემოწირულობებით შეიძინეს. ქალაქ ბათუმის მერიამ 2017 წლის 5 მაისს ა(ა)იპ „ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის" 2017 წლის 8 თებერვლის განცხადება მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე არ დააკმაყოფილა. მიზეზად დასახელა რომ აღნიშნული ტერიტორია საცხოვრებელი ზონაა, მეჩეთი კი წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს და საჭიროებს დამატებით ფართს გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისთვის რა მოთხოვნებსაც მიწის ნაკვეთი ვერ უზრუნველყოფს. შედგომ მუსლიმებბმა ბათუმში მათ მიერ შეძენილ მიწაზე, სადაც მეჩეთის მშენებლობას ითხოვენ ლოცვისთვის დროებითი ხის კონსტრუქცია,სცენა მოაწყვეს.

„ქართველ მუსლიმთა კავშირისა" და „ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის" ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაიძე აცხადებს: "მშენებლობა წელს დაიწყება, უკვე ვასრულებთ პროექტს, რომელსაც, შესაბამისი დოკუმენტაციით, ბათუმის მერიას წარვუდგენთ. ვფიქრობ, ამ მეჩეთის აგება საქართველოს დემოკრატიის ნიშანი იქნება. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება ჩვენი მისამართით პოზიტიურ ნაბიჯებს გადმოდგამს. ეს არ იქნება პოლიტიკური მიზნებისთვის აგებული მეჩეთი, ეს იქნება მლოცველებისთვის განკუთვნილი ადგილი.
იმედს ვიტოვებ, რომ ნებართვის პრობლემა არ იქნება, მაგრამ, თუ მსგავსი რამ მოხდა, კანონის ფარგლებში ვიბრძოლებთ. მინდა აღვნიშნო, რომ ხშირად ვხვდებით ზურაბ პატარაძეს.(საუბარია აჭარის მთავრობის თავმჯდომარეზე) ბოლოს მას ერთი კვირის წინ შევხდით, ვისაუბრეთ სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, ახალი მეჩეთის მშენებლობაზეც. ამ საკითხზე ბათუმში ჩამოსვლის შემდეგ უფრო ვრცლად ვისაუბრებ. ეს მეჩეთი ჩვენი ქვეყნისთვის იქნება ისტორიული, ამიტომ, ვცდილობთ,

მისი არქიტექტურაც იყოს ახალი და განსხვავებული. გვინდა საქართველოში ჩამოსულ დაამახსოვრდეს და გაიხსენოს ეს მეჩეთი. ეს უნდა აწყობდეს ნებისმიერ ხელისუფლებას, ვინც უნდა იყოს იგი"
http://ajaratv.ge/news/ge/13999/batumshi-mechetis-mshenebloba.html

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა

განცხადებები მეჩეთის მშენებლობაზე უარის მიღების შემდეგ

11.05.2017

„ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფისა“ და ქართველ მუსლიმთა კავშირის“ ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაიძეს აზრით, ბათუმის მერმა გიორგი ერმაკოვმა სამარცხვინო გადაწყვეტილებით მუსლიმებს შეურაცხყოფა მიაყენა, როდესაც მერმა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობაზე უარი განაცხადა.

„ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და ამით ხელისუფლებამ დაადასტურა რელიგიური უმცირესობის მიმართ არასწორი მიდგომა. ხელმოწერილი დოკუმენტი გამომიგზავნა, რომ ჩვენ საქართველოში მცხოვრები მუსლიმების 10 პროცენტი არ გვაინტერესებს. ეს არის დემოკრატიის უგულვებელყოფა, აქედან გამომდინარე ჩვენ, მუსლიმებს არ შეგვიძლია, რომ უარი ვთქვათ. რა თქმა უნდა ამ გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ და მივმართავთ სხვადასხვა ღონისძიებას. კერძოდ პერმანენტულ აქციებს, ასევე, სამართლებრივად ვიბრძოლებთ. ბათუმში, გენერალ ა. აბაშიძის ქუჩაზე მუსლიმმა თემმა მიწის ნაკვეთი შევიძინეთ, 8 თვის განმავლობაში მიწის შესაძენად მუსლიმ მრევლში შემოწირულობის სახით თანხა შეგროვდა. მიწა ჩვენი საკუთრებაა და უახლოეს პერიოდში მშენებლობას დავიწყებთ" . აცხადებს ტარიელ ნაკაიძე
http://www.interpressnews.ge/ge/regioni/432106-tariel-nakaidze-bathumis-meria-abashidzis-quchaze-mechethis-msheneblobis-nebarthvas-ar-gvadzlevs.html?ar=A

ტარიელ ნაკაიძის მიმართვა პარასკევის ლოცვაზე შეკრებილ მუსლიმებს

ტარიელ ნაკაიძემ პარასკევის ლოცვაზე შეკრებილ მუსლიმებს ბათუმის მეჩეთში მიმართა: „მე თქვენ გადაწყვეტილებას მივყვები და ამის მიხედვით ვიმუშავებ. დამერწმუნეთ, რომ ბათუმში ახალი მეჩეთი ძალიან მალე აშენდება. გუშინ, მოხდა ის, რომ ჩავყარეთ საფუძველი ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის და მერიამ სამარცხვინო გადაწყვეტილება მიიღო, სამწუხაროდ. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი ხელისუფლებასთან თანამშრომლობის, პირიქით – როცა გვქონდა შეხვედრები მთავრობის თავმჯდომარესთან, განვუმარტე ორი რამ – ერთი, რომ ხელისუფლებასთან ერთად, ჩვენს ძმებთან ერთად, მუსლიმთა სამმართველოსთან ერთად, ყველა ერთობლივად გავივლით ამ გზას. ეს არის საუკეთესო და მომავალი თაობებისთვის ისტორიული გზა. მაგრამ თუ ეს არ გამოგვივა, თუ ამაზე ვინმე არ დაგვთანხმდება უკანონოდ, შესაბამისად, ჩვენ გვაქვს მეორე გზა – ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანი გზაა. საქართველო ეს არის ჩვენი სამშობლო და საქართველოში არავის აქვს უფლება, მათ შორის არც ხელისუფალს, რომ ხელი შეგვიშალოს მეჩეთის მშენებლობაში“.
HTTP://BATUMELEBI.NETGAZETI.GE/NEWS/78503/#STHASH.IOPYO796.4WRAIYYM.DPBS



12 მაისს, პარასკევი ლოცვა ბათუმის მეჩეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. (ფოტოBATUMELEBI.NETGAZETI.GE)

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა

ღია ცის ქვეშ მეჩეთის გახსნა ბათუმში

26.05.2017

26 მაისს „ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფისა“ და „ქართველ მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელ ტარიელ ნაკაიძემ მიმართა მუსლიმებს: "ჩვენი მდგომარეობა გავს წმინდა მუჰამედისას, როცა იგი საკუთარი სახლიდან, მექადან გააძევეს და პირველი მეჩეთის აშენება ჩვენსავით დაიწყო. ჩვენ მეტად უკეთეს მდგომარეობაში ვართ, ნოხები გვაქვს დაგებული, ისინი პირდაპირ უდაბნოში ლოცულობდნენ. შეიძლება ხელისუფლების არასწორმა გადაწყვეტილებამ, რომელიც ჩვენს მიმართ იყო დისკრიმინაციული, ერთგვარად მიგვამსგავსა მუჰამედის მდგომარეობას. დღეს ჩვენ ვხსნით მეჩეთს, დიახ, ეს არის მეჩეთის გახსნა, რაც შეეხება შენობას, ეს ტექნიკური საკითხია და შევძლებთ მის მოგვარებასაც. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა და ეს დამთხვევა არის სიმბოლური. მეჩეთის მშენებლობა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის გადარჩენის გზაა"

http://ajaratv.ge/news/ge/15817/mecheti-shenobis-gareshe--.html.html

ფოტოს ავტორი ჯონი კვანტალიანი წყარო: Ajaratv.ge

„ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფი“ 3000 ლარით დააჯარიმა

9.06.2017

სალოცავად მოსწყობილი ხის კონსტრუქციის, სცენის გამო ბათუმის მერიამ „ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფი“ 3000 ლარით დააჯარიმა. ტარიელ ნაკაიძის განცხადება: "ფარდული, რომელსაც დღეს სამლოცველოდ ვიყენებთ, აგებულია იმ პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც ზოგადად გამოიყენება საქართველოში საკულტო ნაგებობების მშენებლობის დროს. არცერთ ეკლესიას და მეჩეთს არ აქვს სამშენებლო ნებართვა, არცერთი მეჩეთი და არც ეკლესია არ დაუჯარიმებია მერიას, გარდა ამ ფარდულისა. ეს ჯარიმა უკანონოა და დისკრიმინაციული, აუცილებლად გავასაჩივრებთ"
http://1tv.ge/ge/news/view/164555.html

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა

დასავლეთ საქართველოს მუფთის ბეგლარ ქამაშიძის განცხადება

24.06.2017

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, რამაზან ბაირამთან დაკავშირებით საქართველოს მუსლიმი თემი იფთარზე სტუმრად მიიღო და რამაზანის თვე მიულოცა.სადაც დასავლეთ საქართველოს მუფთმა ბეგლარ ქამაშიძე ბათუმში მეჩეთის მშენებლობის თაობაზე თქვა რომ:“ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს და დასრულდეს გარეთ, ქვაფენილზე ლოცვა. რაც შეეხება მშენებლობის ადგილის საკითხს, ეს ზურაბ პატარაძემ (აჭარის მთავრობის

თავმჯდომარე) უნდა გადაწყვიტოს. ახლა მიმდინარეობს შეხვედრები და მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით „
http://batumelebi.netgazeti.ge/news/85033/#sthash.VHr4lXAn.onr3SrAO.dpbs

წყარო: netgazeti.ge

პრემიერ-მინისტრთან აღნიშნულ შეხვედრაზე მიწვეულები არ ყოფილან „ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის“ წევრები და ხულოს მუფთი. ტარიელ ნაკაიძის კომენტარი :“ ახალი მეჩეთი ბათუმში გაიხსნა და ხელისუფლება ვალდებულია ესაუბროს იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს თემა აქამდე მოიყვანეს. ეს არის საინიციატივო ჯგუფი – „ახალი მეჩეთის მშენებლობა ბათუმში“. ეჭვის თვალით ვუყურებ ინფორმაციას, რომ პრემიერთან შეხვედრაზე მეჩეთის მშენებლობის თემაზე რაიმე ისაუბრეს. ამას მომავალი გვიჩვენებს.

2014 წელს მისი ხელდასმით სერიოზული შეცდომა დაუშვა მუსლიმთა სამმართველომ, როდესაც მეჩეთის სანაცვლოდ რეზიდენციების მშენებლობა/გადმოცემა მოითხოვა. ის ამბობს, რომ ახალი მეჩეთის მშენებლობა არის ვიღაცის ახირება და არა რეალური საჭიროება, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ვერ მიაწვდის პრემიერს სწორ ინფორმაციას. ვფიქრობ, პრემიერი საქმის კურსში არ არის ამ თემებთან დაკავშირებით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეცდებით, მას მაქსიმალური ინფორმაცია მივაწვდინოთ ზაზა ვაშაყმაძის გვერდის ავლით.“
http://batumelebi.netgazeti.ge/news/85059/#sthash.iIAzY68O.dpbs

მოხეს სადავო შენობა

მოხის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება

11.05.2016

11 მაისის მოხის კომისიის გადაწყვეტილებით მოხის სადავო ნაგებობას კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა და გადაეცემა ძეგლთა დაცვის სააგენტოს.
დასავლეთ საქართველოს მუფთის ბეგლარ ქამაშიძის კომენტარი ამ საკითხზე გამოქვეყნდა ჟურნალ ლიბერალში: „იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გონიერი მრევლისთვის, საზოგადოებრისთვის გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რომ იყოს კარგი ურთიერთობა, აღდგეს ურთიერთმეგობრობა და არ ჰქონდეს ადგილი უთანხმოებას და შუღლს"
http://liberali.ge/news/view/29272/mokhis-nagebobas-dzeglis-statusi-mienicha--zaza-vashaymadzis-tqmit-yvelaferi-aris-khutianze

ჭელის მეჩეთის იმამის ჯამბულ აბულაძის განცხადება : „2 წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია კომისიას, მხოლოდ შეკრებებით შემოიფარგლებოდა. ვცხოვრობთ 21-ე საუკუნეში, ყველა საშუალება არსებობს ჩვენს ქვეყანაში, რომ ამ ხნის განმავლობაში აღნიშნული შენობა გამოკვლეულიყო. ყველასთვის ნათელი იქნებოდა პასუხი. ეს უფრო სამართლიანი იქნებოდა, ვიდრე დღევანდელი ეს გადაწყვეტილება. მაშინ რას ემსახურებოდა ამ კომისიის 2-წლიანი სხდომები

თუ სახელმწიფო ინერტულია და ვერ აკეთებს დასკვნებს, არ უფრთხილდება ისტორიულ მემკვიდრეობას, უგულებელყოფს სომხური ეკლესიის ძველ სალოცავებს, სინაგოგებს, კათოლიკურ ეკლესიებს, არ უვლის, არ პატრონობს და მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიების მოვლით შემოიფარგლება, როგორ ფიქრობთ, ასეთ უსამართლო ქვეყანაში ჩვენს ქვეყანას განვითარების რა პერსპექტივა გააჩნია? უსამართლო ადამიანების ხელში ძალიან რთულია ცხოვრება და შემდეგ განვითარება დამატებით" http://netgazeti.ge/news/193344/
ქართველ მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაიძის კომენტარი: „ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელები არიან უშიშროების სამსახურების მიერ დანიშნული პირები და არა მუსლიმების წარმომადგენლები. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელი ზაზა ვაშაყმაძე დაკავებულია მუსლიმების დისკრიმინაციით და მათი კონტროლით. ეს არის ისტორიული შენობა, ეკუთვნის მუსლიმებს და არის მეჩეთის შენობა. სირცხვილია, რომ იქ ადამიანებს ლოცვის უფლებას არ აძლევენ. ადგილობრივი მუსლიმები იქ გარეთ, მეჩეთის წინ ლოცულობენ და მათი მოთხოვნა იყო, რომ მეჩეთი დაებრუნებინათ"
http://reginfo.ge/human-rights/item/405-moxeshi-mechetis-asagebad-muslimebs-nakveti-gamouybves,-sadavo-shenoba-weglad-agiares

მუქარა ქართველი მუსლიმი ლიდერების მიმართ

24.05.2017
სოციალური ქსელში გავრცელდა მუქარის შემცველი ფოტო, რომელზეც გამოსახულნი არიან აჭარაში

მცხოვრები ქართველი მუსლიმი ლიდერები: საქართველოს მუფთი ბეგლარ ქამაშიძე, ქართველ მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაიძე, მუსლიმთა სამმართველოს მუფთი ჯემალ პაქსაძე და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მთავარი მუფთის მოადგილე ადამ შანთაძე.
ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე : "ვისაც რაიმე აქვს გასაკეთებელი, ის ფოტოებით კი არ გაავრცელებს მუქარას, არამედ პრაქტიკულად განახორციელებს, თუმცა მე არც მაგის მეშინია. ადრე სირიის ვიდეოც გამოქვეყნდა, მაშინ სერიოზულად გავაპროტესტე და ხელისუფლებას მოვუწოდე რომ სწორი ქმედებები განეხორციელებინა მუსლიმი თემისადმი. ეს იყო ერთ-ერთი სერიოზული ფაქტი. მთავარია მე რას ვაკეთებ და როგორ შევძლებ იმის გაკეთებას, რომ ასეთი მანიპულაციით არ გადაიბიროს ვინმემ ჩვენი ახალგაზრდობა"
https://on.ge/story/10990-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%93-isis-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90

კონფერენცია ისლამი და თანამედროვეობა

კონფერენცია ბათუმში ისლამის შესახებ

21.04.2017

ბათუმში გაიმართა კონფერენცია „თანამედროვეობა და ისლამი“. კონფერენციის მიზანი იყო საზოგადოებისთვის ისლამის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება,ისლამის სწორი ინტერპრეტაციის ხელშეწყობა, ისლამისა და მუსლიმი თემის მდგომარეობის ანალიზი საქართველოსა და მსოფლიოში. კონფერენციაზე ასეთი კომენტარი გააკეთა დასავლეთ საქართველოს მუფთმა ბეგლარ ქამაშიძემ: “უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმები ყოველთვის იყვნენ და არიან საქართველოს ნაწილი. ჰარმონიულად ცხოვრობდნენ მუსლიმები, ქრისტიანები და სხვა აღმსარებლობის ადამიანები ამ პატარა ქვეყანაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი კონფერენციები ისეთ ხიდს გადებენ, რომელიც ურთიერთსიყვარულისთვის იქნება.”
სრულიად საქართველოს მუფთის მრჩეველი თემურ გორგაძე: “თანამედროვე მსოფლიოში ისლამი აღიქმება ძალიან ცუდად, ძირითადად გაიგივებულია ტერორიზმთან, სიბრმავესთან, გაიგივებულია უვიცობასთან. ამიტომ მუსლიმთა სამმართველომ გადაწყვიტა, გაემართა კონფერენცია “თანამედროვეობა და ისლამი”, და შესაბამისი კომპეტენციის ადამიანების დახმარებით გაგვეანალიზებინა ის, თუ დღეს ისლამი და მუსლიმები რა მდგომარეობაში ვართ; რა ისტორიული წარსული და რა როლი გვქონდა საქართველოსთან მიმართებაში.”
http://www.ttimes.ge/archives/78841

მშვიდობის, დემოკრატიისდაგანვითარებისკავკასიურიინსტიტუტი

კონტაქტი: თბილისი წერეთლის გამზირი # 72
ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77 37
ელ-ფოსტა : info@cipdd.org

პროექტი ხორციელდება *დემოკრატიის მხარდაჭერის ერონული ფონდის*(NED) მხარდაჭერით